კვლევა მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრის მიზნით

შინაარსი

შესავალი----------3

კვევაში გამოყენებული მეთოდოლოგია----------3-4

კვლევის შედეგები----------4-8

დანართები----------9-10

შესავალი

მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების სკოლებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის ანგარიში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1. კოლეჯში უკვე არსებული პროფესიები არის თუ არა მოთხოვნადი და აქტუალური ჩვენს პოტენციურ ბენეფიციარებში.
2. იმ პროფესიების დადგენა, რომელიც არ გვაქვს კოლეჯში, მაგრამ პოპულარულია ჩვენს პოტენციურ ბენეფიციარებში.
3. პოტენციური ბენეფიციარების განწყობები კოლეჯის მიმართ.

დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში აღწერილია ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია დანართები კვლევის ინსტრუმენტები.

კვლევა ჩატარდა 2022 წლის 28-30 სექტემბრის პერიოდში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საწყის ეტაპზე მოხდა კვლევის ინსტრუმენტის, კითხვარის შემუშავება. შემდეგ განისაზღვრა სკოლები, სადაც ჩავატარებდით კვლევას და აგრეთვე, კლასები რომლებიც უშუალოდ მიიღებდნენ კვლევაში მონაწილეობას.(სკოლების შერჩევა მოხდა სკოლებში მოსწავლეთა მაღალი რაოდენობის მიხედვით). კვლევა ჩაუტარდათ მე-12 და მე-9 კლასის მოსწავლეებს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს:

- ✓ ამბროლაურის N1 საჯარო სკოლა
- ✓ ამბროლაურის N2 საჯარო სკოლა
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულის საჯარო სკოლა
- ✓ ონის სიმონ სხირტლაძის სახელობის საჯარო სკოლა

კითხვართან ერთად, წინასწარ მომზადდა პრეზენტაცია, იმ პროფესიების შესახებ, რომელიც კითხვარში გვქონდა შეტანილი. პრეზენტაციის ჩვენება ხდებოდა კითხვარის შევსებამდე, რომ მოსწავლეებს შექმნოდათ წარმოდგენა თითოეული პროფესიაზე და ისე შეევსოთ კითხვარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში, ჩვენს მიერ შერჩეული მე-9, მე-12 კლასელების საერთო რაოდენობა არის 140.

ონის მუნიციპალიტეტში კი-83.

ჩვენს მიერ გამოკითხული მოსწავლეების რაოდენობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში იყო 69, რაც მთლიანი რაოდენობის(მე-9, მე-12 კლასის მოსწავლეების) 49 % -ია . ხოლო ონის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 34 მოსწავლე, რაც საერთო რაოდენობის (მე-9, მე-12 კლასელების) 41% -ს შეადგენს.

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში, მე-9 და მე-12 კლასელების საერთო რაოდენობა ჯამში 223 შეადგენს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 103 -მმა მოსწავლემ, რაც პროცენტულად საერთო რაოდენობის 46% გამოდის. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, რომ კვლევის შედეგების განზოგადება მოვახდინოთ შერჩეული სამიზნე ჯგუფის საერთო რაოდენობაზე.

კვლევის შედეგები

კოლეჯი ,,ერქვანი'' ახორციელებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს:

1.ელექტროობა

2.თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი

3.იატაკისა და ფილის სამუშაოები

4. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

5.ბუღალტრული აღრიცხა

კვლევის მიხედვით, იმ პროფესიებიდან, რომელსაც კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს, უფრო დიდი ინტერესი დაიმსახურა ორმა პროფესიამ:

1) აიტი (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა)
2) ბუღალტერი (ბუღალტრული აღრიცხვა)



თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	**ელექტრიკოსი**	**აიტი**	**ბუღალტერი**	**იატაკის მომწყობი**
7	**6**	**47**	**36**	**7**

კითხვარში, გარდა კოლეჯში არსებული პროფესიებისა შეთავაზებული იყო ის პროფესიები, რომლებიც, ამ ეტაპზე , პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ისწავლება. ეს პროფესიები იყო:

1.შემდუღებელი

2.თმის სტილისტი

3.ფარმაცევტი

4.მევენახე-მეღვინე

5.სატყეო საქმის სპეციალისტი

6.ვეტერინარი

7.სასტუმროს მენეჯერი

ამ პროფესიებზე, კვლევაში მონაწილეთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



შემდუღებელი	თმის სტილისტი	ფარმაცევტი	მევენახე-მეღვინე	სატყეო საქმე	ვეტერინარი	სასტუმროს მენეჯერი
15	14	17	17	11	21	25

გამოიკვეთა ოთხი პროფესია:

1.სასტუმროს მენეჯერი

2.ვეტერინარი

3.ფარმაცევტი

4.მევენახე-მეღვინე

კითხვარში იყო შესაძლებლობა, რომ რესპოდენტებს თავად ჩაეწერათ , მათთვის საინტერესო პროფესია,რომელიც კითხვარის ჩამონათვალში ვერ მოხვდა.

დასახელებული პროფესიებია:

1.საიტის დეველოპერი (1)

2.შიდა დიზაინი/ინტერიერის დიზაინი (1)

3.ტრიდე მოდელირება (1)

4.ბიზნესის ადმინისტრირება (1)

5.არქიტექტურა (2)

6.სოციოლოგია, ფსიქოლოგია

7.კულინარია (2)

ბოლოს, კითხვაზე სად აპირებენ სწავლის გაგრძელებას ჩვენი რესპონდენტები შედეგები ასეთია- გამოკითხულთა 90 % სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლესში. 7 % სწავლის გაგრძელებას აპირებს კოლეჯში, ხოლო გამოკითხულთა 3 % არ აპირებს სწავლის გაგრძელებას.



სწავლას აგრძელებს უმაღლესში	სწავლას აგრძელებს კოლეჯში	არ აპირებს
93	7	3

შეჯამების სახით, კვლევიდან დგინდება, რომ შერჩეული ჯგუფის სამიზნე ბენეფიციარებისთვის (სკოლის მოსწავლეები მე-9, მე-12კლასი) უფრო მეტად პოპულარული პროფესიებია :

1. იმ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამებიდან,რომელსაც კოლეჯი ,,ერქვანი''- ახორციელებს:

- ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა''
- ,,ბუღალტრული აღრიცხვა''

2. კითხვარში შეტანილი პროფესიებიდან, რომელსაც კოლეჯი არ ახორციელებს:

- ,,სასტუმროს მენეჯერი''
- ,,ვეტერინარი''
- ,,ფარმაცევტი''
- ,,მევენახე-მეღვინე'

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა კვლევაში და დაასახელეს მათთვის საინტერესო პროფესიები, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჩვენს მიერ შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის, უფრო მეტად პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს უნივერსიტეტი, ვიდრე კოლეჯი და პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ძალიან მცირეა.

დანართი

"----" " ---------" 2022 წელი

1	**ასაკი**	☐		
2	**სქესი**	☐ ქალი	☐ კაცი	
3	**შშმ სტატუსი**	☐ კი	☐ არა	
4	**სსსმ**	☐ კი	☐ არა	
5	**საცხოვრებელი ადგილი**	☐ ქალაქი	მიუთითეთ	☐
		☐ სოფელი	მიუთითეთ	☐
6	**განათლება**			
		☐ საბაზო (ცხრა კლასი)		
		☐ საშუალო (XII კლასი)		
		☐ პროფესიული		
		☐ უმაღლესი		
		სხვა მიუთითეთ		☐
7	**სტატუსი**			
		☐ დასაქმებული		
		☐ თვითდასაქმებული		
		☐ უმუშევარი		
		☐ მოსწავლე		☐

8 **შეისწავლიდით თუ არა შემდუღებლის პროფესიას**

კი ☐

არა ☐

9	ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიებიდან რომლის შესწავლას ისურვებდით (აირჩიეთ მხოლოდ ორი პროფესია)	
1	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	
2	ელექტრიკოსი	
3	აიტი	
4	ბუღალტერი	
5	იატაკის მომწყობი	
6	თმის სტილისტი	
	ფარმაცევტი	
7	მევენახე-მეღვინე	
8	სატყეო საქმის სპეციალისტი	
9	ვეტერინარი	
10	სასტუმროს მენეჯერი	
X	იმ შემთხვევაში თუკი თქვენთვის საინტერესო პროფესია ვერ მოხვდა ჩამონათვალში, გთხოვთ ჩაწეროთ	

10 თქვენ აპირებთ სწავლის გაგრძელებას :

პროფესიულ კოლეჯში ☐

უმაღლეს სასწავლებელში ☐

არცერთში ☐

სკოლაში ☐